ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7
2017 წლის 20 თებერვალი

ქ. ბოლნისი

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4, მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების საფუძველზე, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

მუხლი 1

„ბოლნისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 16 იანვრის №2 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 17/01/2017, 190020020.35.158.016326) დამტკიცებულ წესში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მეორე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მეორე მუხლს დაემატოს მე-2 პრიმა პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2^1. მედიკამენტური მკურნალობისათვის ერთჯერადად დახმარება, არაუმეტეს 200 ლარისა, გაეწევათ შემდეგი დაავადებების მქონე სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოქალაქეებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს (მათ შორის მოქალაქეები, რომელთაც 65000-დან 150000-მდე სარეიტინგო ქულა მიენიჭათ 2016-2017წწ. პერიოდში):

ა) შაქრიანი დიაბეტით დაავადებულ ბენეფიციარებს;

ბ) გულ-სისხლძარღვთა დაავადებების მქონე ბენეფიციარებს;

გ) პოსტოპერაციული მკურნალობის საჭიროების მქონე ბენეფიციარებს;

დ) მწვავე ანთებითი პროცესებით მიმდინარე დაავადებების მქონე ბენეფიციარებს.“.

3. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ე“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) სტუდენტებს იმ ოჯახებიდან, რომელ ოჯახშიც არის ორი ან მეტი სტუდენტი.“.

4. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 100 000-ს (მათ შორის მოქალაქეები, რომელთაც 65000-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულა მიენიჭათ 2016-2017წწ. პერიოდში), ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების ოდენობა განისაზღვრება 200 (ორასი) ლარამდე.“.

5. დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ბინის ქირის ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით დამქირავებლის პირად ანგარიშზე.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

თამაზ ჟორჟოლიანი